კოლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 18 ივნისი, 1949 წ. № 120 (8428). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

სასახელოდ დავამთავროთ სამეურნეო წლის პირველი ნახევარი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ეროვნულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტების ლენინური ორგანიზაციებისა და ეროვნული ენა-ლიტერატურის ფაკულტეტების ამოცანები (მე-2 გვერდი).
ბ. ნატროშვილი — სამხრეთ საზღვარზე (მე-2 გვერდი).
პროფესორი ვ. ბოიჩევსკი—სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებელი (მე-2 გვერდი).
ს. ოდიშარია — შენებლები მზარდი ტემპით მუშაობენ (მე-3 გვერდი).
გ. ნარსია — ჩვენი მთავარი საბრძოლო ამოცანა (მე-3 გვერდი).
გ. კაკაბაძე—ქართული ავტომობილის ოსტატები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სასახელოდ დავამთავროთ სამეურნეო წლის პირველი ნახევარი

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მეშაკები სასახელოდ ანაღდებენ საქართველოს ბოლშევიკების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას, ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში მესრულებისათვის. ამ ბრძოლაში ისინი წარმატებებს აღწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკის მრეწველობის დიდ წარმატებებზე მეტყველებენ სამრეწველო საწარმოთა მიმდინარე წლის განვლილი ხუთი თვის მუშაობის შედეგები. წარმოების ისეთმა წამყვანმა დარგმა, როგორიც არის ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, ეადამდე შესრულა მარგანეცის ამოღების ხუთი თვის გეგმა და სამშობლოს მისცა მრავალი ათასი ტონა ზეგეგმიური პროდუქცია. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესა მუშაობა და უზრუნველყო ხუთი თვის გეგმის 104,3 პროცენტით განაღდება. განსაკუთრებით დაწინაურდა ამავე ტრესტის სტალინის სახელობის შახტი, რომელმაც 14 ივნისს შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. საწარმოო დავალებები წარმატებით შესრულეს ჩვენი დედაქალაქის დაზგათმშენებელმა და მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, სპილენძსაგლინავმა ქარხანამ, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამამუშავებელმა, კასპის ცემენტის ქარხნებმა და რესპუბლიკის ბრძოლ მრეწველობის საწარმოთა დიდმა მრავალსობამ. მაღალნაყოფიერად მუშაობენ რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, კამეოლ-მაუღის ფაბრიკის მაღალნაყოფიერი მუშაობა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები იბრძვიან არა მარტო საწარმოო გეგმების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის, არამედ წარმოებაში ტექნიკური სიახლის დანერგვის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, ასორტიმენტის დაცვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების, ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მოიშარნობის შედეგად ზეგეგმიური პროდუქციის გამოშვების, წარმოებაში წესრიგისა და სისუფთავის დაცვისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

სამეურნეო წლის დასაწყისიდან სამრეწველო საწარმოებში საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დასაჩქარებლად მოსკოველთა ინიციატივის პასუხად გაჩაღებულმა მოძრაობამ შესანიშნავი შედეგები მოგვცა. მრავალმა საწარმომ უკვე გაუთავისუფლა სახელწოდის მნიშვნელოვანი თანხები.

რესპუბლიკის მრეწველობაში, განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, გაჩაღებულია შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებისათვის, „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის“ სპეციალი წოდების მოპოვებისათვის. იმის სალოსტრაციოდ, თუ რა ფართო გამოხმაურება ჰპოვა კრასნოხოლმელი ფეიერის ა. ჩუტკინის თაოსნობამ, საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ჩვენი დედაქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვება 450-მდე ბრიგადაა ჩამოყალიბებული. მრავალი ათეული ასეთი ბრიგადა იბრძვის ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მრავალ სხვა საწარმოში. ახლა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშებისათვის იბრძვიან არა მარტო მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, არამედ მძიმე მრეწველობაშიც — დაზგათმშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებში, ორთქლმავლების, ელექტრომავლებისა და ვაგონშემკეთებელ საწარმოებში, ქვანახშირის შახტებსა და მარგანეცის მაღაროებში, კვების მრეწველობაში.

უკანასკნელ დღეებში ფართოდ ინერგება კუბაგინელი ფეიერების მ. როკოვევასა და ლ. კონონენკოს თაოსნობა ნედლეულის მომგირნეობით ხარჯვისა და დანაზოგი ნედლეულით ზეგეგმითი ქსოვილის, შეკერილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად.

მიმდინარე წელს წარმოიშვა მისაბაძი თაოსნობა — ინჟინერ-ტექნიკოსთა შეფობა ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებზე. ეს თაოსნობა სანიმუშოდ განახორციელეს ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის ქარხანა „მაღაროელის“ ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ამ ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა ქმედითი დახმარებას უწევენ იმ ბრიგადებსა და ცალკეულ სტახანოველებს, რომლებიც ლითონის ჩქარი ჭრის მეთოდებს დაეუფლნენ და გამომუშავების ნორმები ორ-სამმაგად გაადიდეს.

დიდია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა მიერ სამეფრნეო წლის განვლილ თვეებში მოპოვებული წარმატებები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა საწარმო ერთნაირი ნაყოფიერებით მუშაობს. ზოგი საწარმო გეგმის შესრულებაში ჯერ კიდევ ჩამორჩება. ბათუმის მრეწველობამ, მიუხედავად იმისა, რომ მაისის გეგმა საკრძნობი გადაჭარბებით გაანაღდა, მაინც ვერ შეძლო წარსული თვეების ჩამორჩენის ლიკვიდაცია და ხუთი თვის გეგმის შესრულებას 1,3 პროცენტი დააკლო. ხუთი თვის გეგმა ჩვენი დედაქალაქის ზოგიერთ საწარმოსაც არ შეუსრულებია. ხუთი თვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა აგრეთვე ქვანახშირის ბევრი შახტი.

თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად მრეწველობის წინაშე კვლავ მთელი სიგრძე-სიგანით დგას პროდუქციის ხარისხის, სეფაბრკო მარკის ღირსებისათვის ბრძოლის გაძლიერების საკითხი. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში ხარისხისათვის ბრძოლა კამპანიურობად მიიჩნეს და პირველხარისხოვანი პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადებისადმი ხელმძღვანელობა შეანელეს, მოწონებეთა გამოცდილება საწარმოს მთელი კოლექტივის კუთვნილებად არ გაზიდეს. ამის შედეგად საუკეთესო ხარისხის ყველა ბრიგადა მთლიანად როდი ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

შეუნელებელი ბრძოლა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ამ ბრიგადებში მუშათა მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმა, მათთვის ყოველგვარი დახმარების გაწევა, ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა — საწარმოთა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების, სამეურნეო მუშაკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის — მოსკოვის საწარმოთა კოლექტივები დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ჩვენი გაზეთის 17 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა, მოუთხრობენ ხალხთა გენიალურ ბელადს ხუთწლეული ვადადმე შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მათ მიერ მოპოვებულ წარმატებებზე და აღუთქვამენ, რომ სასახელოდ განახორციელებენ მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებას — 1949 წელს შეასრულებენ ახალ ხუთწლიან გეგმას.

ამეტიურად დაეუჭიროთ მხარი მოსკოველთა ამ მორიგ პატრიოტულ თაოსნობას. წარმატებით დავამთავროთ საქართველო წლის პირველი ნახევარი. შეუნელებლად ვიბრძოლოთ, რათა გავანლდოთ საქართველოს ბოლშევიკების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა — ოთხ წელიწადში შევასრულოთ ახალი სტალინური ხუთწლედი!

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲢᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲒᲔᲑᲐ

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა (შახტის უფროსი ი. გამხარაშვილი, მთავარი ინჟინერი ნ. ქვინიხიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. კარპოვი და სამხატო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გეგასალია) 14 ივნისს მესამე ცალაში შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის გეგმა.

შახტის კოლექტივი იბრძვის, რომ წლიური გეგმა შეასრულოს 1949 წლის 1 დეკემბრისათვის.

ᲙᲐᲠᲔᲛᲘᲐ ᲧᲕᲘᲒᲣᲚᲘᲡ ᲨᲐᲮᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲠᲔᲑᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ტყიბულშახტმშენის ტრესტმა (მმართველი შ. ცირეკიძე), მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სამენი მასალების ეკონომიური ხარჯვითა და ადგილობრივი მასალების გამოყენებით დაზოგა ნახევარ მილიონამდე მანეთი.

საკავშირო პროფსაბჭოს და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით 1949 წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებისათვის ტყიბულშახტმშენის ტრესტს მიეკუთვნა ფულადი პრემია 30 ათასი მანეთის რაოდენობით.

ამ მაღალი შეფასების პასუხად შახტმშენებლებმა იანვრის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს გეგმები შეასრულონ არანაკლებ 10 პროცენტის გადაჭარბებით, მშენებლობაში დანერგონ ახალი სამთო მექანიზმები, მეშახტეთა ახალი საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა შეასრულონ რვა თვეში.

ᲞᲐᲠᲘᲣᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲨᲐᲑᲠᲘᲙᲐ

უახლოეს ხანში თბილისში (დიღუმე) დაიწყება პარფიუმერიის დიდი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა პირველ პროდუქციას გამოუშვებს 1951 წელს.

ეს საწარმო მთლიანად დაკმაყოფილებს ამერიკაკავასიის რესპუბლიკებს პარფიუმერიით და ხელის საპნით.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ტინისხიდთან დაიწყო შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტის მშენებლობა. პუნქტისათვის გამოყოფილია 8 ჰექტარი მიწის ფართობი. პუნქტთან აშენდება ორი 10-ტონიანი სასწორის შენობა, მუშათა საცხოვრებელი ბინები, ლაბორატორია, კანტორა, სასადილო, კულტსახლი, აბანო და სხვა ნაგებობანი.

მშენებლობას აწარმოებს აგარის შაქრის ქარხანა.

ჩაის კრეფა სოფელ ხაბუმის (ჩხოროწყუს რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში

ფოტო ნ. ჯიმიდავასი.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲮᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘ

მიმდინარე წლის 15 მაისს საქართველოს მოელი რიგი რაიონების კოლმეურნეებმა დაიწყეს მასობრივად გამოსვლა სამეურნო სახალხო მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. უკვე ჩამოვიდნენ სამგორში სამუშაოდ და ნაკისრი საწარმოო ვალდებულებები პირნათლად შეასრულეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მცხეთის, გორდასნის, თბილისის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, გორის, დუშეთის და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებმა.

20 ივნისიდან 20 ივლისამდე ზემო-სამგორის მაგისტრალური არხის გაყვანაში მონაწილეობას მიიღებენ საგარეჯოს, ჭარელის, ხაშურის, კასპის, კაკრეთის, გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ბორჯომისა და ხიდისწყლის რაიონების კოლმეურნეები. მათ წელს მაგისტრალური არხი დასაბეტონებლად უნდა გაამაგრონ 10 კილომეტრის მანძილზე.

სამგორწყალმშენის სამმართველომ შეაჯამა ზემო სამგორის მაგისტრალური არხის გაყვანაზე გამოსულ კოლმეურნე მშენებელთა ერთი თვის მუშაობის შედეგები. ამ ერთი თვის განმავლობაში ამ რაიონებიდან ჩამოსულ კოლმეურნეებს, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა სამეურნო სახალხო მშენებლობაში, ნაკისრი ჰქონდათ 70.500 კუბური მეტრი მიწის ამოღება. სამდეგლად კი 14 ივნისს სასაბამოთოვის კოლმეურნე მშენებლებს მაგისტრალური არხის კალაპოტიდან ამოღებული ჰქონდათ 72.278 კუბური მეტრი მიწა.

შრომის ნაყოფიერების მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები მოგვიყვნ სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსულმა კოლმეურნე მშენებლებმა. მათ საშუალოდ თვითეული კაცდღის შიგნდეთ ამოღებული აქვთ 3,3 კუბური მეტრი მიწა. ბოლნისელი მშენებლებიდან თვითეული კოლმეურნე საშუალოდ დღეში იღებდა 2,3 კუბურ მიწას, მარნეულელები და გარდაბნელები — 2,1 კუბურ მეტრს, მცხეთელები — 1,8 კუბურ მეტრს და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა რაიონიდან სამგორის მშენებლობაზე მახობრივად გამოსულმა კოლმეურნეებმა ნაკისრი ვალდებულებები ბრწყინვალეა ინიციატივებით შეასრულეს. მცხეთელებმა, მაგალითად, ნაკისრი 6.500 კუბურ მეტრს ნაცვლად არხის კალაპოტიდან ამოიღეს 7.400 კუბური მიწა, გარდაბნელებმა — 6.500 კუბურ მეტრის ნაცვლად 6.600 კუბურ მეტრი, თბილისის რაიონის კოლმეურნეებმა 15.000 კუბურ მეტრის ნაცვლად 15.507 კუბური მეტრი, ბოლნისელებმა 6.000-ის ნაცვლად 6.530 კუბური მეტრი, თეთრწყაროელებმა ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით ამოიღეს 400 კუბური მეტრი, სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსულებმა 343 კუბური მეტრი, გორელებმა — 198 კუბური მეტრი და ა. შ.

ფართოდ იყენებენ რაიონებიდან მასობრივად ჩამოსული კოლმეურნეები წინათ ჩამოსულთა გამოცდილებას. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითები მოგვცეს სამხრეთ ოსეთიდან და მარნეულის რაიონიდან ჩამოსულებმა. მარნეულელებს სავსებით იმავე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, როგორც გორელებს. მარნეულელებმა გამოიყენეს გორელების გამოცდილება და შეძლეს შრომის ნაყოფიერების შესამჩნევად ამაღლება. გორელთა სამუშაო უბანზე თვითეული კოლმეურნეი დღეში საშუალოდ იღებდა 1,8 კუბურ მეტრს. მარნეულელებმა კი სამენი ისე აიწყეს, რომ თვითეული კოლმეურნე დღეში საშუალოდ 2,1 კუბურ მეტრს იღებდა.

კოლმეურნე მშენებელთა ერთი თვის მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ სამუშაოზეა წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორკანი. ზეგალთანს, არხის გასაყვანს უბანთა რელიეფის თავისებურების გამოყენებას. ზოგჯერ ნაკისრ სამუშაოთა შესასრულებლად ცდილობენ რაიონებიდან კოლმეურნეთა მრავალად წამოყვანას და ამავე დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მათი შრომა სწორად მოაწყონ. კარგი ნაყოფი მოგვცა რაიონებიდან გამოგზავნილი სპეციალისტების მიერ ამავე რაიონის კოლმეურნეებისათვის განკუთვნილი სამუშაო უბნის წინასწარ მიღებამ და შესწავლამ და შრომის გამადიელებელ ღონისძიებათა დამუშავებამ.

ზემო სამგორის მაგისტრალური არხი უახლოესდღეს თბილისის ნაწილსაც. საგარეჯოს, ჭარელის და ხაშურის რაიონების კოლმეურნეებს მოუხდებათ მუშაობა მაგისტრალური არხის გადიდებაზე უმნიშვნელ, სადაც მათ ნაკისრი აქვთ 27.000 კუბური მიწის სამუშაოს შესრულება. რაც უფრო უკეთესად იქნებიან ორგანიზებულნი ამ რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეები, რაც უფრო უკეთესად მოაწყობენ შრომას, მით უფრო ადრე და უკეთესი მაჩვენებლებით შეძლებენ ისინი ნაკისრი ვალდებულების განაღდებას.

დ. ლოგთაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲘᲜᲝᲛᲨᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს სრულდება 90 წელი გამოჩენილი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი. აბაშიძე, ა. ვასაძე, ალ. გომოშვილი, უ. ჯაფარიძე, ი. დოლიძე, ი. ზოდელავა, პ. ინგოროყვა, შ. ბურკულაძე, ა. კვაჭაძე, შ. მშველიძე, ნ. ნაკაშიძე, ბ. ნანიტაშვილი, გ. ნატროშვილი, ნ. პავჩინსკი, შ. რადიანი, ვ. ხატაშვილი, შ. ხიტირი, ს. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ს. ჭილაია, ა. ჩხარტიშვილი, ვ. ეგნატაშვილი.

რესპუბლიკურ კომიტეტს დავალებული აქვს: ქალაქ თბილისში მოაწყოს ეგნატე ნინოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა; მოამზადოს ეგნატე ნინოშვილის სრული კრებულის გამოცემა ქართულ ენაზე და ერთოერთულისა რუსულ ენაზე; მოაწყოს მიტინგი მწერლის საფლავზე სოფელ ნარეკვში. საიუბილეო დღეებში სკოლებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა, კლუბებსა, კულტურის სახლებსა, ბიბლიოთეკებსა და ქოხ-საკითხველოებში მოეწყობა მოხსენებები, ლექციები და ლიტერატურული საღამოები, მიძღვნილი ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲔᲑᲡ

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხანაგ ა. კოსიგინის ბრძანებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისა და პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ჯადიდებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ძალ რიგ საწარმოებში ჩამოყალიბებულ ბრიგადებს მიეკუთვნათ „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადა“ სახელწოდება და მიეცათ ფულადი პრემიები ბრიგადის მეერ საშუალო თვიური გამომუშავების 40 პროცენტის რაოდენობით.

ბრძანებულებაში მოხსენებული არიან: თბილისის მაუდკამოლის ფაბრიკის მქსოველთა ბრიგადა, რომელსაც ოსტატის თანაშემწე გ. ახალკაცი ხელმძღვანელობს, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველთა ბრიგადა, რომელსაც ოსტატის თანაშემწე ა. ხაჩატურიანი ხელმძღვანელობს და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის პიჯაკების მკერავთა ბრიგადა, რომელსაც ოსტატი მ. აივაზოვი ხელმძღვანელობს.

ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲐᲑᲐᲜᲝ

ᲮᲐᲠᲐᲒᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ბორითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დაამთავრა საკორწინო აბანოს მშენებლობა.

აბანო კეთილმოწყობილია.

ᲡᲐᲥᲐᲒᲨᲘᲠᲝ Კ. Პ. (Ბ) ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲓᲐᲥᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲘᲢᲘᲡ

ᲞᲐᲠᲗᲝᲕᲔ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲝᲗ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲫᲘᲠᲩᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲘᲝᲮᲒᲠᲜᲐᲘᲐ ᲛᲐᲜᲣᲨᲐᲕᲭᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲡ ᲐᲛᲑ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ

ძერჟინსკის სახელობის ტროიზგორნაია მანუფაქტურის კომბინატის სუფეიერო საამქროს ოსტატის თანაშემწემ ამხ. ვოროშინმა ამ დღეებში შეიტანა ძვირფასი წინადადება წარმოების მაღალი კულტურისათვის, სამეშაო ადგილის სისუფთავისა და წესრიგის, მოწყობილობის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, ნედლეულისა და მასალებისადმი, მანქანებისა და ჩარხებისადმი ფრთხილად მოპყრობისათვის, ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამხ. ვოროშინმა ვალდებულება აიღო თავისი ბრიგადის უბანი გადააქციოს მაღალი კულტურის საწარმოო უბნად, ამა წლის 1 ივლისამდე მიაღწიოს მოწყობილობის ომამდელი ნაყოფიერების 2 პროცენტით გადიდებას, გამოუშვას მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და 15 პროცენტით შეამციროს ნახვეწი.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის სამქალაქო კომიტეტის ბიუროს მოიწონა ამხ. ვოროშინის პატრიოტული თაოსნობა, მხარი დაუჭირა მის წინადადებას წარმოების მაღალი კულტურისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის სამქალაქო კომიტეტის ბიუროს წინადადება მისცა ქალაქ მოსკოვის პარტიის რაიონულ კომიტეტებს. პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს ფართოდ გაავრცელონ ვალადმერ ვოროშინის თაოსნობა მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის საწარმოებში, წარმოების მაღალი კულტურისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა ფაბრიკა-ქარხნების ყველა მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დაავალა გაზეთების „მოსკოვსკი ბოლშევიკის“, „ვეჩერნაია მოსკვას“, „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ და მრავატირაჟიანი გაზეთების რედაქციებს ფართოდ გაშუქონ წარმოების მაღალი კულტურისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

საწარმოების კულტურის ამაღლების შესახებ ამხ. ვოროშინის წინადადებანი შეიტანენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების დამატებითს წყაროებს.

ამხ. ვოროშინის შესანიშნავი თაოსნობა იმის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა, თუ როგორ ზრუნავენ მუშათა კლასი და ჩვენი ქვეყნის მშრომელები სსრ კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლა ხანმოკლე კამპანია როდია, იგი პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელთა ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ᲡᲝᲩᲮᲣᲐᲜᲘ, 17 ივნისი (აიქლსი). აქ შედგა ორდენებისა და მედლების გადაცემა აფხაზეთის ასსრ მსაწავლებლებისათვის, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ნაშახსტრობისა და უმწიკლო მუშაობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით და სახელით დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ა. მ. ჯოჯუამ.

უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღო 36 მსაწავლებელმა, ორმელნიც 30 წელსა და მეტ ხანს მუშაობენ სკოლაში. მათ შორის არიან ამხ. თ. ნ. ბოკუჩავა, ს. ა. ბეანია, ე. ფ. გრიგოლია, ნ. ვ. ვიდინოვი და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა 24 მასწავლებელს, „საპატიო ნიშნის“ ორდენი — 34, მედალი „შრომით მამაცობისათვის“ — 73 და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 80 მასწავლებელს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ მასწავლებლები მ. ნ. ცაცა, ე. ვ. თარნავა და სხვები, რომლებმაც მზრუნველ მადლობა გამოსთქვეს პარტიის, მთავრობისა და დიდი სტალინისადმი მასწავლებლებზე მზრუნველობისათვის.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲑᲐᲨᲙᲘᲠᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲣᲤᲐ, (საკლესი). ბაშკირთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა პირველი ტომი. ტომში შეტანილია ლენინის შრომები „რანი არიან „ხალხის მეგობრები“, და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „რა ვაკეთოთ?“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ და სხვები.

ამავე დროს გამოვიდა ლენინის წიგნები „მემარჯხენობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ და „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲘᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲗᲝᲛᲡᲚᲘ. (საკლესი). ტომსკის პოლიგრაფიული გამომცემლობის სასოლეო სამმართველომ გამოსცა მასალათა კრებული ი. ბ. სტალინის თხზულებების შემსწავლელთა დასახმარებლად. კრებულში შეტანილია გაზეთ „პრავდაში“, „კულტურა ა ჟიზნში“, ჟურნალ „ბოლშევიკში“ და სხვ. დაბეჭდილი სტატიები.

კრებულის ტირაჟის ნაწილი იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, პეტროზავოდსკში, ყაზანში და სხვა ქალაქებში.

ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

(ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ 1949 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗᲘᲗ)

რაიონის დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით		რაიონის დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით	
	წლიურისა	ივნისისა მაისის დაბაკალისის ნათვლით		წლიურისა	ივნისისა მაისის დაბაკალისის ნათვლით
ბათუმის	28,3	55,6	ტყიბულის	37,7	74,8
ქობულეთის	28,8	61,2	ცხაკაიას	36,8	50,7
სულ აჭარაში	**28,7**	**59,9**	აბაშის	40,4	43,1
გალის	35,7	53,5	გეგეჭკორის	41,0	61,4
ონჩაჩირის	37,8	56,6	ზუგდიდის	34,7	51,1
გულრიფშის	51,5	37,8	წალენჯიხის	34,2	50,0
სოხუმის	40,8	64,5	ჩხოროწყუს	34,4	50,5
გუდაუთის	41,7	58

ყოველმხრივ მოვემზადოთ მოსავლის აღებისა და პურის დამზადებისათვის!

* *

შეჯიბრებაში ვიწვევთ თელეთის მგს-ს

დღიმის მტს-ის მუშაკთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“. ეს დადგენილება განხილულ იქნა მტსის მუშა-მოსამსახურეების, ტრაქტორისტების, კომბაინერების, ბრიგადირების საერთო კრებაზე.

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა კ. სოზიაშვილმა თქვა:

— პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ. ვკისრულობ წელს პურეული ავიღო 400 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარისა.

ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს მეორე ბრიგადის ბრიგადირმა მ. კოტორაშვილმა და მესამე ბრიგადის ბრიგადირმა ი. ოდიშვილმა.

კომბაინერებმა გ. ბროლაძემ, შ. აბუაშვილმა, ა. შჩერბაკოვმა პირობა დაიდეს მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ.

მტს-მა დროულად დაამთავრა 5 კომბაინის რემონტი.

დღიმის მტს-მა პურეულის მოკლე დროში და უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თელეთის მტს-ი.

მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ბ. როგავაძე

დღიმის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში

პირველ განალენ მარცვლეულს ჩაბარებენ სახელმწიფოს

ხაშური. (საკ. კორ.). კოლმეურნეებმა წელს მოსავალი მარტო ხელით უნდა აიღონ 7.000 ჰექტარზე მეტ ფართობზე. ამისათვის გაჩაღებულია ენერგიული მზადება. მომზადებულია 2.500 ცელი, 3.776 ურემი, 2.715 კეცრი და სხვა საჭირო ინვენტარი. მიმდინარეობს საწყობების რემონტი და გაუფთავება.

ხაშურის მტს-მა ვადაზე ადრე შეაგეთა 5 კომბაინი და 6 სალეწი მანქანა, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. მომარაგებულია 5,5 ტონა बेनზინი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ტონისა და 14 ტონა ნავთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ტონისა. კოლმეურნეობები ამზადებენ ნაკვეთებს კომბაინების სამუშაოდ. მიმდინარეობს მისასვლელი გზების შეკეთება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ჩაატარა აქტივის თათბირი, რომელმაც

(დასასრული იხილეთ 3-ე გვერდზე)

ახალი შრომითი აღმავლობა

ფალაკა. (საკ. კორ.). კოლმეურნეობები. და მტს-ის მუშაკები გულდასმით სწავლობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ჩაატარა აქტივის თათბირი, რომელმაც დასახა საჭირო ღონისძიებანი მოსავლის აღებისა და პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესასრულებლად. რაიონში 300-მდე აგიტატორი აცნობს კოლმეურნეებს დადგენილების შინაარს.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს კარგი პირი უჩანს. კოლმეურნეობები აცხადებენ, რომ მოსავლის აღებას 20 სამუშაო დღეში მთლიანად დაამთავრებენ.

ჩვენ გვწერენ

მეჯი ყურადღება კურორტ მენჯს

კურორტ მენჯში სეზონის გახსნის წინ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა: კაპიტალურად შეკეთდა საბაზრის და სანატორიუმის შენობები, სამკურნალო კაბინეტები, მინერალური წყლის სადენი ქსელი, სექციები საამქრო და დამმარე ნაგებობანი.

წელს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება მიექცა კურორტის ტერიტორიის გაშენებას: დაირგო 8.500 ძირი მარადმწვანე მცენარე, მოიკირწყლა საკურორტო გზები. კურორტის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 350.000 მანეთი.

სეზონის გახსნის პარალელურად გრძელდება დამატებითი სამუშაოები. მეორე კვარტალიდან დაიწყება კურორტის ელექტროგაყვანილობის ქსელის რეკონსტრუქცია, რაც ხელს შეუწყობს სმკურნალო წყლის მიწოდების გადიდებას და სხვ.

კურორტი მენჯი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ექიმებით.

. არის ნაკლოვანებანიც. კურორტს საკმარისად არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალებანი ავადმყოფთა გადასაყვანად ქ. ცხაკაიადან მენჯამდე. „კურორტვაჭრობის“ მენჯის წერტილს საკმაო რაოდენობით არა აქვთ სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი, „კურორტვაჭრობის“ ხელმძღვანელი მუშაკები კი ამაზე სერიოზულად არ ფიქრობენ.

რამდენიმე წელია მენჯში არც კლუბია, არც კინოთეატრი. დამსვენებლებს სიარული უხდებოდათ ქალაქ ცხაკაიაში. ახლა აქ შენდება ახალი კინოთეატრადა, მაგრამ მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კურორტი მენჯი ყოველმხრივ კეთილმოწყობილი უნდა გახდეს.

ბ. მილეტინი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საჭიროა სადგურის აშენება

რამდენიმე წელია, რაც სოფელ არგვეთაში მატარებლის გაჩერება დაწესდა. აქ ჩერდებიან არა მარტო საგარეუბნო, არამედ ბევრი სხვა მატარებელიც. მოსალოდნელი იყო, რომ მატარებლების გაჩერების დაწესების შემდეგ მაინც დაიწყებოდა სადგურის შენობის აგება. მაგრამ ასე არ მოხდა, აქ შენობის მაგიერ ერთი ძველი ვაგონი დადგეს და ამით დაკმაყოფილდნენ.

აქ მოსვლელ მგზავრებს ცის ქვეშ უხდებათ ლოდინი. სადგურის აგების საკითხი არაერთხელ დასმულა რაიონის სამმართველოში, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. როგორც არგვეთაში, ისე სხვა სადგურებშიც, როგორიცაა აჯამეთი, ფცერი, ბროწეული და სხვ. არ არის განთავსებული, რაც მატარებლებში მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისას ზმარად უწესრიგობას იწვევს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უნდა მოაგვაროს ეს საკითხები.

დ. ცხადაძე

სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფეოქველებელი

(ა. მ. გორკის ნაარდაცვალების 18 წლისთავის გამო)

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო მიტინგზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა თქვა: „უკანასკნელ სულთქმამდე გორკი იმ ადამიანებთან ერთი გრძნობითა და ფიქრით ცხოვრობდა, რომლებიც ახლა დიდი ენთუზიაზმით აშენებენ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. მისი თვალები სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ბრწყინავდნენ მშრომელთა მტრების, ფაშიზტების და ყველა სხვა მჩაგვრელის, კულტურის ჩამხშობთა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მეურვეობლობის ცეცხლით“.

გორკი მოუწოდებდა მწერლებს შეეწყვეტათ ახალი სოციალისტური სინამდვილის მიღწევები, მრავალმხრივ და ღრმად აესახათ ეს სინამდვილე მხატვრულ ნაწარმოებებში. დიდი მწერალი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიოს პროგრესული ძალების პირველ რიგებში იყო. მას მტკიცედ სწამდა, რომ საბჭოთა ხალხს ძალები უძლეველია, რომ ფაშისტთა ურდოები განადგურებულ იქნებოდნენ, თუ ისინი თავს დაესხმოდნენ საბჭოთა კავშირს.

ალექსი მაქსიმეს-ძე მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე გამსჭვალული იყო თავისი სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისადმი რწმენით.

მბრველი რევოლუციის ეპოქაში იგი იმ დროზე ოცნებობდა, როცა „სიცოცხლე საამური, სასიხარულო იქნება და ქვეყნიც კი გაიღიმებენ“. დიდი მწერალი მოესწრო იმ ბედნიერ დღეს, როცა მან შეძლო სტალინური კონსტიტუციის პროექტისათვის სიხარულით ეწოდებინა „სოციალისტური ჰუმანიზმის კონსტიტუციი“. იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, როცა ღიფრთოვანებით ლაპარაკობდა კონსტიტუციაზე: „შეიძლება ახლა ჩვენს ქვეყანაში ქვეყნიც მეერიანონ“.

1934 წელს საბჭოთა მწერლების ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში გორკიმ თქვა: „...ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ფაქტს, რომ გმირების ყველაზე ღრმა და მკაფიო, მხატვრულად სრულყოფილი ტიპები შეუქმნია ფოლკლორს, მშრომელი ხალხის ზეპირ შემოქმედებას“.

დიდი მწერალი დარწმუნებული იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია არაჩვეულებრივი ძლიერებით გამოაღვიძებდა ხალხთა ქვეყანაში ხალხის მხატვრულ, შემოქმედებითს ძალებს. „ჩვენ,—წერდა ის,—მტკიცედ უნდა ვაღიაროთ და გვახსოვდეს, რომ მასების მხატვრული შემოქმედება არ გამქრალა, იგი ვერ ჩაკლა საუკუნოვანმა ინიკებითმა კატორღულმა მუშაობამ ...ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მშრომელი მასების უნარი სიტყვის მხატვრული შემოქმედებისა ჩნდება და უნდა გაჩნდეს, რადგან რევოლუცია ადამიანს ათავისუფლებს არა მარტო სოციალურად, ფიზიკურად, არამედ ემოციურად, ინტელექტუალურადაც“.

ჯერ კიდევ რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე გორკიმ მრისხანედ და უელმობლად ამხილა სიცრუე ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობდა თავი გაესაღებინა ცხოვრების ყველა ღირებულებისა და სიკეთის შემოქმედად. XX საუკუნის პირველი წლებიდანვე გორკის ნაწარმოებებში გამოჩნდნენ მომავლის ადამიანები, მუშათა კლასიდან გამოსული გმირები, რომლებიც ძლიერნი იყვნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი სოლიდარობითა და დარაზმულობით.

ვ. ი. ლენინის მიერ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გამოთქმულმა დებულებებმა გორკის სახით პოვეს ყველაზე ბრწყინვალე გამომხატველი. დიდმა მწერალმა პარტიული შემოქმედების მაღალი ნიმუშები მოგვცა. ლენინთან და სტალინთან ერთად მან გაალაშქრა ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების წინააღმდეგ, ხელოვნების „უპარტიობის“ ბურჟუაზიული იდეის წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი ცხოვრების, ლიტერატურული შემოქმედების ცალკეულ პრობლემათა ყველაზე ზუსტად და სწორად გადაწყვეტის ძიებაში, ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა შეფასებაში გორკი ზოგჯერ ცდებოდა. მაშინ მას ეხმარებოდა ბოლშევიკური პარტია, რომელიც თავისი კრიტიკით, სასარგებლო რჩევით ხელს უწყობდა მწერალს დაეძლია ეს შეცდომები.

საბჭოთა ლიტერატურას გორკი თავის შთამომნებლად და მასწავლებლად მიიჩნია. ალექსი მაქსიმეს-ძის მიერ შექმნილი ტრადიციები ცოცხალია: ისინი საბჭოთა მწერლებს მოუწოდებენ შემოქმედების სულ უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების, სოციალისტური შრომის თავადაღებული მგრეხის, დიდი სამამულო ომის დროის საამშობლოს მამაცი და გაბედული დამცველების ლიტერატურული სახეები განაგრძობენ სოციალისტური რეალიზმის — გორკის მიერ შექმნილი შემოქმედებითი მეთოდის გზას.

პავლე კორჩაგინი ნ. ოსტროვსკის რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მიჰყვება პავლე ვლასოვის, ოქტომბრამდელი ეპოქის პირობებში პროლეტარიატის საქმისათვის აქტიური მებრძოლის გზას.

ფადეევის რომან „ახალგაზრდა გვარდიის“ გმირები დიდი სამამულო ომის ეპოქაში განაგრძობდნენ პავლე ვლასოვისა და პავლე კორჩაგინის გმირულ საქმეს. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი ეპოქის ნამდვილი გმირების — მისი ნამდვილი ადამიანების სახეებს, ერთგულად იცავენ ალექსი მაქსიმეს-ძის ანდერძს, რომელიც იმედიანად შეჰყურებდა მომავალს და გვიჩვენებდა ცხოვრების განუხრელ სვლას — „წინ და მაღლა!“.

დიდი პატრიოტი მწერალი მხატვრული სიტყვის იარაღით ებრძოდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომელიც ცდილობდა დაემკვიდრებინა თავის ტირანია ხალხებზე. გორკიმ განთქმულ პამფლეტში „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“ განსაცვიფრებელი ძალით დაგვიხატა კაპიტალისტური სამყარო, რომელიც ადამიანებს ასახჩრეს ფიზიკურად და სულიერად.

ყვითელი ეშმაკის ქალაქის საშინელ ფონზე გორკიმ შექმნა ცხოვრების „მეუფეთა“ ტიპიური სახეები. სატირულ ნარკვევში „რუსპუბლიკის ერთერთი მეფე“ მან დაგვანახვა მიღიარდერი და ძისი უსაზღვრო სიხარე ოქროსადმი. როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის ანგარებიანი ინტერესების გამომხატველი, ეს მილიარდერი ფიქრობს, რომ ცხოვრებას ადამიანი „სწორად ხედავს მხოლოდ ოქროს მთის სიმაღლიდან“. მისი „პატრიოტიზმი“ ის არის, რომ იქადაგოს სხვა რასებთან შედარებით ამერიკული რასის უპირატესობა, იქადაგოს, რომ ამერიკული რასის დანიშნულებაა მსოფლიო ბატონობა.

გორკის პუბლიცისტიკა მიმართული იყო იმპერიალისტური ბურჟუაზიის, რეაქციის მხლებლებისაკენ, ომის გამჩაღებელთა ხროკების მხილებისაკენ. საბჭოთა მწერლების ახალი თაობა ერთგულად მიჰყვება დიდი მწერლის შემოქმედების ამ ნაყოფიერ ხაზს.

გორკი — ჩვენი ნაციონალური კულტურის ეს უმაღლესი გამოხატულება — ყოველთვის ამ კულტურის მგზნებარე თაყვანისმცემლად გვეელინება. რუსული ლიტერატურის კლასიკოსებს იგი მოწიწებითა და აღტაცებით ეპყრობოდა.

გორკის დიდად უყვარდა პუშკინის გენია. ალექსი მაქსიმეს-ძე აღტაცებული იყო დიდი პოეტის ოპტიმიზმით. მისთვის მახლობელი იყო პუშკინის იდეა მუზებისა და გონების თანაბარობრობისა: „გაუმარჯოს მუზებს, გაუმარჯოს გონებას“. პუშკინის საუკეთესო ქმნილებებში ჩაქსოვილი სიცოცხლის სიხარული გორკის შემოქმედებაშიც ცოცხლობს. გორკის ცნობილი სიტყვები—„ადამიანი—ეს ამაყად გაისმის!“ — ყველაზე უფრო სრულად გამოხატავენ პუშკინის ჰუმანიზმის არსს.

მოწინავე და პროგრესულ კაცობრიობას, რომელიც კეთილშობილურ ბრძოლას ეწევა კაპიტალისტური ტირანიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული რეაქციის ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ, გორკის სახით დიდი მასწავლებელი ჰყავს. ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ ყოველი მებრძოლი გრძნობს დღეს რომან „დედის“ გმირის სიტყვების უძლეველ სიმართლეს: „ჭონებას სისხლში ვერ ჩაანშობენ... ზღვა სისხლითა ვერ ჩაიკრიბენ სიმართლეს... მხოლოდ გაბოროტებას გამოიწვევთ, უგუნურნო! თქვენვე დაგატყდებათ იგი თავს!“.

გორკის უკვდავი იდეები და სახეები, ისევე, როგორც გრიგალა, რომელსაც მან უმღერა და რომელიც დასტრიალებს ჩაგვრისა და ძალადობის სამყაროს, მოუწოდებს ადამიანებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ: „დე, იქუხოს ქარიშხალმა!“.

დანკოს ანთებული გული საბჭოთა ხალხის დიდმა მწერალმა უქრობელ ალად აღმართა. ჩვენ, გორკის პატივისმცემლები და მიმდევრები, მისი ხსოვნის დღეს მოელვარებით გიმერებთ დიდი ადამიანის სიტყვებს გმირ შევარდენზე: „შენ მოკვდი, მაგრამ სულით გაბედულ და ძლიერთა სიმღერაში მუდამ იქნები ცოცხალი მაგალითი, თავისუფლებისა და სინათლისაკენ ამაყი მომწოდებელი!“.

პროფესორი ვ. ბოიჩევსკი

სამხრეთ საზღვარზე

გრიგოლ აბაშიძის ახალი ლექსების გამო

საბჭოთა პოეზიის მაღალ იდეურობას, მის მძაფრ პოლიტიკურ სიმახვილეს საუცხოო მხატვრული ფორმელა გამოუძებნა ვლ. მაიაკოვსკიმ, როცა ყალამი ხიშტს გაუთანაბრა. სწორედ ეს მაღალი იდეურობა, ეს პოლიტიკური სიმახვილი ახასიათებს გრ. აბაშიძის ლექსების ციკლს—„საბრძოლ საზღვარზე“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა „კომუნისტის“ ფურცლებზე.

ლექსების ეს ციკლი, ისევე როგორც ილო მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები“, რომლის დადგმა ამას წინათ განახორციელა რუსთაველის სახელობის თეატრმა, საბჭოთა საქართველოს კულტურული ცხოვრების ფრიად თვალსაჩინო მოვლენაა. ამ ნაწარმოებებში ჩვენი მწერლობის ხალხურობის პრინციპმა ჰპოვა თავისი ღირსშესანიშნავი მხატვრული განსახიერება. ეს ქმნილებანი პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე გამსჭვალულნი არიან საბჭოთა პატრიოტიზმის უწმიდესი გრძნობით. ისინი მკაცრი და მრისხანე საბრალდებო დოკუმენტებია, რომლებიც ამხილებენ ახალი ომის გამჩაღებლებს, ამერიკელ იმპერიალისტებს, რომელთაც ამერიკის „თავდაცვის (?!) ხაზი“ გაჰყავთ... ქართული სოფლების საზღვარზე. საზღვრის გამოღმა, საბჭოთა მხარეში, მშვიდობისა და თავისუფლების შუქით მადლმოსილი ცხოვრება ჰყვავის, და აი სწორედ ამ აყვავებულ, გაფურჩქნილ სიცოცხლეს უმიზნებენ დეტროიტის ტვიფრებით აღბეჭდილი ტანკები და ზარბაზნები. ამის შესახებ წერს გრ. აბაშიძე თავის ლექსში:

„ეაზაფხულია მეესხეთში ახლა
და თვალს როგორც კი ახელს ცისკარი,
რომ მიეხ. დახანან, რომ ეაზი გასხლან
კაცი და ქალი მინდვრად იჩქარის.
რომ სისხლმა მორწყოს ბალი და ეაზა,
რომ ეესხთა ბალლებს დასცეს თავზარი,
საზღვრის გადალმა ტანკები დგანან
და ზარბაზნები უზარმაზარი.
გაჰყურებს ბაღებს ალუბლიანებს
ზარბაზნის ყნოსვა ჰქვია საოცარი.
ქართულ მარგანეკს თვალს უბრიალებს
და ბაქოს ნავთიც ეკ ახლოს არის“.

გრ. აბაშიძის ამ ლექსების უდიდესი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ ისინი ზრდიან ჩვენს სიძულვილს მტრისადმი. კითხულობთ ამ სტრიქონებს და თითქოს ძორიდან ყრუდ მოგესმით გრუხუნი ამერიკული ზარბაზნების ლიფაფის ბორბლებისა, ესოდენ უჩვეულო იმ დიდ მყუდროებაში, რომელსაც სახრეთ საქართველოს მწვანედ შეფოთლილი ხეობები მოუცავს, ის ხეობები, რომლებიც თურქეთმა მიტაცა საქართველოსაგან, — უძველესი ქართული კულტურის ის ჩამქრალი და ნაცარწყაროები კერები, რომლებიც ოდესღაც სამხრეთის საზღვარზე დეკაბოდან ედგნენ საქართველოს კულტურის დიდებულ შენობას. ჩვენი თაობის ადამიანს ეს ხეობები არ უნახავს და მარტოოდენ შორიდან უოცნებია მათზე, და ამ ნატვრაში, ამ ოცნებაში ის მუდამ ისე გულთან ახლოს ყოფილა ჩვენთვის, როგორც არაგვის ხეობა, როგორც ალაზნის ველი, როგორც რიონის ჭალები.

სავსებით მართალია პოეტი, როცა ამბობს, რომ ცხება—„ამერიკის თავდაცვის ხაზი“—ეს მტაცებლის ურცხვი სიცრუეა. განა შეიძლება თავდაცვის ხაზი ეწოდოს მსოფლიოს ყველა კუთხეში ამერიკელთა სამხედრო ბაზების შექმნას? უოლ-სტრიტი ქმნის ბაზებს იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებული არიან ამერიკას. ამერიკის კოლონიური ექსპანსია გადასწვდა ინდონეზიასა და ფრანგულ მაროკოს, არაბეთსა და თურქეთს, ირანსა და ავღანეთს, ეგვიპტესა და სირიას, ერაყსა და ტრანსიორდანას, და კიდევ ვინ მოსთვლის სად არ დაქსელა უოლ-სტრიტმა ჯოჯოხეთური ქსელი თავისი სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზებისა. ეს ქსელი სწვდება ყველა უმნიშვნელოვანეს მსოფლიო კომუნიკაციას, ყველა კონტინენტსა და ოკეანეს. ახლო აღმოსავლეთში ამერიკული თვითმფრინავები, რომლებიც დაბანაკებულნი არიან კუვეიტის და ბახრეინის კუნძულების, ბასრის და მოსულის, ბეირუთისა და დამასკოს აეროდრომებზე, დღედაღამ თავს დასტრიალებენ თურქეთსა და ირანს. განა ეს არის თავდაცვის ხაზი? განა თავისი ქვეყნის თავდაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად ჩავიდა თურქეთში ამერიკის სამხედრო მინისტრი როიალი, რომელმაც 1948 წლის 19 დეკემბერს ანკარაში პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი „თურქეთის სამხედრო დაწესებულებათა ინსპექტირებაა“. უოლ-სტრიტის სამხედრო მინისტრი ამას როდი დასჯერდა. მან წაავლო, უფრო სწორად—უბრძანა თურქეთის მეპრთველებს გაედიდებინთ სამხედრო ხარჯები, გაეძლიერებინთ არმიის მექანიზაცია, გაეფართოებინთ უფლებანი ამერიკის სამხედრო მისიებისა და სამხედრო მოხელეებისა, რომლებითაც სავსეა თურქეთი. იმავე დროს მინისტრმა სცადა გაედვიძებინა თურქთა მტაცებლური მადა, უთხრა მათ, რომ „სამხედრო თვალსაზრისით თურქეთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთში“.

ამერიკის სამხედრო მინისტრი თურქეთში ჩამოვიდა სწორედ იმ საარტილერიო და სატანკო დივიზიების, იმ სამხედრო ბაზების საინსპექციოდ, რომლებიც მესხეთის სოფლებს უმიზნებენ. მას თან ჩამოჰყვა ვილიამ ჰარიმანიც, მშვიდობის ეს გაცოფებული მტერი, რომელიც ისე იქცევდა თურქეთში, როგორც ოდესღაც „უნიონ პაციფიკ რეელროდის“ საკანონიერო კომპანიონი, რომელიც მის მილიონერ მამას ეკუთვნოდა და თვითონ კი — ამ კომპანიის მოხელე იყო. რაღა განსხვავებაა! განა ახლანდელი თურქეთი იგივე საკქიო კომპანია არ არის, რომელსაც უოლ-სტრიტელი ბიზნესმენები განაგებენ? ამიტომ ჩამოვიდა ჰარიმანი თურქეთში ისე, როგორც ფეოდალი ჩადიოდა ხოლმე თავის მამულში. მან შეაღო დარდანელის კარი ისევე თამამად, როგორც ოდესღაც აღებდა თავისი მამის ჩარჩული კანტორის კარს. და როგორც იმ კანტორის მოხელენი მოწიწებით წამოუდგებოდნენ ხოლმე ფეზზე პატრონის შვილს—ასევე მონური თაყვანისცემით და თავდახრით წარუდგნენ თურქი მინისტრები ჰარიმანს. ჰარიმანი თურქეთში ყველაზე მეტად ნავთმა, ნახშირმა და მადანმა დაიინტერესა. და როცა ის თხოოულობდა ცნობებს თურქეთის მარშალიზაციის შესახებ, ალბათ იმ მშიერი მგლის თვალით, რომელსაც ნადველი დაატოვებინეს, გამოსცქეროდა საქართველოს საზღვრებს და აგონდებოდა თავისი ყოფილი კონცესია, როცა ჭიათურაში ბიზნესს აკეთებდა. შესანიშნავად ამბობს პოეტი: ისინი სისხლშიც ბიზნესს ხედავენ, ნავთშიც, მარგანეცშიც; დე, დაიდუპოს მთელი ქვეყანა, გაწყდნენ მილიონობით ადამიანები, გაქრნენ და დაინგრენ ქალაქები, რომელთაც ათასეული წლების ისტორია აქვთ, ოღონდ ჰარიმანსა და დიუპონს მილიონობით ფული იშოვნონ,—ასეთია მათი გულსწადილი. ამიტომ ედებიან მთელ მსოფლიოს უოლ-სტრიტის მზვერავები, ბინისტრები, მფრინავები, გენერლები და ისტორიოსები და ფილოლოგებიც კი, რათა თურქები შეაგულიანონ ომის ინტერესის სისხლიანი ისტორიის გახსენებით; აქ სამხედრო მინისტრი როიალი და ისტორიკოსი გრეგუარი ერთ წერტილში ურტყამენ, ერთიმეორეს ავსებენ, საქართველის დროს შეუძლიათ შეცვალონ ერთიმეორე, როგორც გასული წლის 19 დეკემბერს პრეს-კონფერენციაზე ანკარაში, როცა როიალმა თურქებს ოტომანთა ველური იმპერიის „გარდასული დიდება“ გაახსენა, ის ბნელი ეპოქა, როცა ისლამის ფანატიკური ჯარი, ბისი ცოფიანი ანიჩარები სისხლით რწყავდნენ უზარმაზარ მიწას დუნაიდან რიონამდე.

გრ. აბაშიძის ლექსებში აღწერილია თურქეთში ჩამოსული ამერიკელი ბატონი „განათლებული გადამთელი“, რომელსაც სამსუნის სიგარები უყვარს და სამსუნელები ეზიზღება, რომელიც დოლარის შეძენისათვის უფიქრელად და უყოყმანოდ მოაწერს ხელს ქვეყნის დაქცევაზე, რომელმაც მხოლოდ ერთადერთი ჩუქურთმა იცის, ჩუქურთმა, გამოსახული ოქროს დოლარზე. ეს ხომ ჰარიმანისა და მისნაირების, მათი ურიცხვი ხელქვეითების სახეებია! როცა ილო მოსაშვილის პიესაში ვიცნობით ამერიკელ ჯონ რაიტს, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს იგივე ჰარიმანია, ხოლო ამდენ სადაყის სახეში ჩვენ ვცნობთ ანლანდელი თურქების მესვეურებს, რომლებმაც ისე განუკითხავად ჩაუგდეს ქვეყანა ხელში ამერიკელ ავანტიურისტებს.

იმპერიალიზმის მტაცებლურმა ხიხარბემ, რომელსაც თან ახლავს მსოფლიო ისტორიაში ჯერ გაუგონარი ცინიზმი, უკიდურეს საზღვრებს მიაღწია. ისინი ლაპარაკობენ „თავდაცვის ხაზზე“ და იმავე დროს მათივე საგანგებო „ოვერსის ხიუსი“ გადასცემს ცხობას, რომ მელახის ამერიკულ აეროდრომს ახლა, გაფართოების შემდეგ, შეუძლია მიიღოს ბომბდამშენი B-29, რომლის მოქმედების ოდიუსი მელახიდან ამიერკავკასიის დაბომბვის შესაძლებლობას იძლევიან, იმავე დროს ურცხვად აცხადებენ, რომ დახრანის მიწისქვეშა აეროდრომზე 300 მილიონი დოლარი იმატომ დავხარჯეთ, რომ ქალაქ ბაკოს დაბომბვა აქედან ყველაზე უფრო ადვილიაო.

